ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7683585

ნომერი: AR11114046

თარიღი : 22.10.2025

გაცემის თარიღი : 29.10.2025

გაცნობის თარიღი : 29.10.2025

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქ.თბილისი, ჭირნახულის ქუჩა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზვიადი ყურაშვილი პ/ნ 49001000555
- საქართველო, ქალაქი თბილისი, სულხან ნასიძის ქუჩა, N 11, ბინა 5

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება, პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. დაუშვებელია სერვიტუტზე რაიმე სახის სამშენებლო სამუშაოები.
2. ფოტოსურათზე განსხვავებული ფერის კონტურით მოინიშნოს საპროექტო მიწის ნაკვეთი და გაითვალისწინეთ რომ სამუშაოები უნდა განხორციელდეს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში.
3. ფოტო და ფოტომონტაჟი წარმოდგენილ იქნეს ერთიდაიგივე რაკურსიდან გადაღებული და დამუშავებული.
4. ვინაიდან მიწის ნაკვეთზე ვრცელდება წყალმომარაგების ძირითადი ქსელის შეზღუდვა წარმოსადგენია შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის თანხმობა და დამოწმებული გენგეგმები. (თქვენს მიერ წარმოდგენილი gwp-ს წერილი გაცემულია სხვა მიწის ნაკვეთზე)
5. წარმოსადგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები, ხოლო, სააგენტოს მიერ შეთანხმებული სქემა უნდა შეათანხმოთ ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოსთან.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე.

მოცემულ ვადაში განახლებული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება სამსახური უფლებამოსილია აღნიშნული განაცხადი დატოვოს განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.